აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს თემატური მოკვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება

თემატური მოკვლევის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება

კითხვარი დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად

ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 245428265
შემსრულებლის სახელი, გვარი და პოზიცია	ამირან თავდგირიძე ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
მისამართი	ბათუმი, აკ.მ.კომახიძის N119
ტელ.	591 70 70 60
ელ-ფოსტა	Tavdgiridze73@gmail.com
ინფორმაციის ჩაბარების ბოლოვადა	21 თებერვალი, 2023 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	ღია მმართველობის საბჭოს სამდივნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მალვინა ჯიბლაძე - 577032104 +995(0) 32 228 54 85 malvina.jibladze@sca.ge

წარმოდგენილი პოზიცია უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:

1. რა მექანიზმები ან საშუალებები აქვს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებს (შემდგომში, აღმასრულებელ ორგანოებს) ინსტიტუციური ღიაობისთვის?

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილია ამავე დადგენილების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება შესაბამის ელექტრონულ რესურსზე - სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდზე:

www.moa.ge, სადაც, ასევე უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის გვერდის არსებობა. ამასთან, სამინისტროს მიერ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილების საფუძველზე გამოცემული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 12/02/2020წ. N27 ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით), პასუხისმგებელი პირი. ამავე ბრძანებით, ასევე, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას, აგრეთვე დადგენილი პერიოდულობით მის განახლებას. ზემოაღნიშნული ბრძანებით, ასევე, განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, გამოქვეყნების ვადები. სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასევე ფუნქციონირებს საკონტაქტო ელ.ფოსტა: contact@moa.ge, სადაც შესაძლებელია შესაბამისი განცხადების წარმოდგენა, ასევე, ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფოსტა: publicinfo@moa.ge.

2.როგორია აღმასრულებელი ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხი შიდა და მესამე მხარეების შეფასებების მიხედვით (კვლევები, ინდექსები, შეფასების ანგარიშები, რეიტინგები თუ სხვა)?

თემატური მოკვლევის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ყოველწლიური პროაქტიული გამჭვირვალობის რეიტინგის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამჭვირვალობის მაჩვენებელი ბოლო წლებისათვის არის მაღალი, მათ შორის 2015, 2017, 2018, 2020 და 2021 წლებში სამინისტრო 100%-იანი მაჩვენებლით, ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე საჯარო დაწესებულებად დასახელდა.

3.რა შიდა პოლიტიკის თუ სტრატეგიული დოკუმენტები მოქმედებს აღმასრულებელ უწყებებში ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე? რა კონკრეტულ გზებს ან საშუალებებს ითვალისწინებს ისინი ამ მიმართულებებით?

სამინისტრო დაწესებულების ღია მმართველობას, გამჭვირვალობას, საქმიანობაში მოქალაქე ჩართულობას უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინსტიტუციურ ღიაობისათვის, მიღებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის N27 ბრძანება.

ასევე, ვებ-გვერდზე განთასებული და ხელმისაწვდომია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი“.

4. როგორია აღმასრულებელი ორგანოების ვებგვერდების მდგომარეობა - რამდენად ითვალისწინებს ისინი ღია მმართველობის საკითხებს? არის თუ არა ვებგვერდებზე ჩართულობის ონლაინ მექანიზმები და როგორია ისინი?

სამინისტრო მუდმივად ახდენს ვებგვერდის (moa.ge) განახლებას და ინფორმაციის ასახვას, რითაც უზრუნველყოფს განხორციელებული ან/და დაგეგმილი აქტივობებისა და საქმიანობის თაობაზე საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამინისტრო სტრუქტურის, თანამდებობის პირების, საკანონმდებლო ბაზის, სიახლეების და ა.შ. ასევე. ვებგვერდზე არის მუდმივად განახლებადი ,,საჯარო ინფორმაციის" ველი, სადაც ქვეყნდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, ასევე, მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა, ცხელი ხაზის ნომერი), რითაც მოქალაქეებს საშუალება აქვთ დაუკავშირდნენ დაწესებულებას ნებისმიერ დროს.

5. როგორია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი? რამდენად იყენებს საზოგადოება ონლაინ პლატფორმებს ორგანოებთან ურთიერთობისთვის, რა პლატფორმებია ამისთვის (ვებგვერდი, სპეციალური გვერდები, აპლიკაციები, ა.შ.)

მოქალაქეებს, გარდა სამინისტროს ვებგვერდისა, საშუალება აქვთ უწყებას დაუკავშირდნენ სოციალურ ქსელების მეშვეობით, განსაკუთრებით აქტუალურია ,,facebook" პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ყველაზე მეტად უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ჩართულობა და შესაბამისი უკუკავშირი.

6. როგორია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გამოცდილება?

a. რა ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდებზე და რა პერიოდულობით ხდება მისი განახლება

b. ინფორმაციის რა ნაწილია წაკითხვად ფორმატში (machine-readable1)?

c. რამდენად ჩაშლილია ინფორმაცია (მაგალითად, გენდერულ, ასაკობრივ თუ სხვა თვალსაზრისით)?

ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, მისი გამოქვეყნებისა და განახლების პერიოდულობა განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილებით და მის საფუძველზე გამოცემული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 12/02/2020წ. N27 ბრძანების შესაბამისად, კერძოდ:

საჯარო ინფორმაციის ველზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
- საჯარო ინფორმაციის გვერდი;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
- სამართლებრივი აქტები;
- სხვა საჯარო ინფორმაცია.

7. როგორია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღმასრულებელ ორგანოებში?

a. გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული

b. ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხების სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული, პასუხის მიწოდების ვადების მითითებით

c. განმარტება და დასაბუთება ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევებზე.

2022 წლის მონაცემებით, სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ წარმოდგენილი იქნა 12 განცხადება, მათ შორის 3 განცხადება - მოქალაქის მიერ, 2 - ადმინისტრაციული ორგანოს და 6 იურიდიული პირის მიერ (მათ შორის 3 - მედია/ბეჭდვითი საშუალება, 3 - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი). ამასთან, გამოთხოვილი ინფორმაციის მოცულობის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში, დამატებითი ვადის საჭიროების თაობაზე ეცნობათ განმცხადებლებს. 12 შემთხვევაში გაიცა შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.

8. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში?

a. ჩართულობის კონკრეტული მაგალითები

b. საჯარო შეხვედრების, განხილვების, დისკუსიების ან სხვა ღონისძიებების სტატისტიკა - მათზე დამსწრე პირების მითითებით, სადაც გამიჯნულია დამსწრე/მონაწილე საჯარო დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების რაოდენობის შესახებ ინფორმაციები.

c. ამ ჩართულობის მაგალითებს რა ცვლილებები მოჰყვა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის (რა შეიცვალა უწყების საქმიანობაში, შესაბამის დოკუმენტში ან სხვა საქმიანობაში, რისთვისაც გამიზნული იყო ჩართულობა)?

აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

მაგალითად, სამინისტრო უზრუნველყოფს მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას. 2022 წლის მაისის თვეში სამინისტრომ მოაწყო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, სადაც მოწვეულ იქნა როგორც სამინისტროს სისტემაში მყოფი დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და აქტიურ მოქალაქე ადგილობრივი გაერთიანებების (ა.მ.ა.გ-ი) წარმომადგენლები.

ასევე, 2022 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით, გაიმართა შეხვედრები, რომლებსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, თემის რწმუნებულებები და აქტიურ მოქალაქე ადგილობრივი გაერთიანებების (ა.მ.ა.გ-ი) წარმომადგენლები. აღნიშნულ შეხვედრებზე იდენტიფიცირებული იქნა ადგილობრივი მოსახლეების საჭიროებები და გათვალისწინებული იქნა მომდევნო წლის ბიუჯეტში. ასევე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სამინისტროს მიმდინარე და სამომავალო გეგმების შესახებ.

9. ბიუჯეტის პროექტის, პრიორიტეტებისა და პროგრამების განხილვის პროცესში როგორია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი?

a. რამდენი საჯარო შეხვედრა ჩატარებულა?

b. როგორია დასწრების სტატისტიკა, რამდენი იურიდიული პირის წარმომადგენელი (მათ შორის, გამიჯნულად საჯარო უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) და ფიზიკური პირი ესწრებოდა?

c. ბიუჯეტის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობის სხვა რა მექანიზმები გამოიყენება?

d. როგორია ამ განხილვების შედეგები? რა ინიციატივები გაჟღერდა და რა ცვლილებები მოჰყვა ამ განხილვებს?

აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების და პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების/განახლების პროცესი მიმდინარეობს საჯაროდ, კერძოდ სამინისტრო უზრუნველყოფს აქტიურ ჩართულობას დაინტერესებული მხარეების ფართო წრის, მათ შორის სერვისების მომხმარებლების, სამოქალაქო ჯგუფების, დონორების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და საბიუჯეტო ორგანიზაციების განხილვის პროცესში. საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა/განფასება და პროგრამული ბიუჯეტის განხილვა/ კორექტირება ხორციელდება დაინტერსებეული მხარეების მონაწილეობით წელიწადში ორჯერ, მათთან კონსულტაციის შედეგად, ასევე, დაინტერესებული მხარეების შენიშვნებისა და მოსაზრებების განხილვა და აუცილებლობის შემთხვევაში ასახვა ხდება საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის და საბიუჯეტო განაცხადის ფორმების საბოლოო ვერსიაში.

10. თქვენი აზრით, ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის, რამდენად ვასაგებად და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს და ხელს უწყობს თუ არა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები საზოგადოების მონაწილეობას?

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა/განფასება და პროგრამული ბიუჯეტის განხილვა/ კორექტირება ხორციელდება ხელმისაწვდომი ფორმით დაინტერესებული მხარეებისათვის, კერძოდ, ადგილზე შეხვედრებით და პრეზენტაციის სახით მიწოდება, სამინისტროს ვებ გვერდზე ინფორმაციის საჯარო ასახვით, ასევე წლის განმავლობაში მიმდინარეობს შესაბამის პოტენციურ ბენეფიციარებთან შეხვედრები და არსებული და დასაგეგმი პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

11. ანგარიშვალდებულების რა ფორმებს იყენებენ აღმასრულებელი ორგანოები? მინისტრი პერიოდულად აბარებს ანგარიშს მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს საქმიანობის თაობაზე, ამასთან როგორც უკვე აღინიშნა ყოველდღიურად ხდება საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათვის ვებგვერდის მეშვეობით, ასევე აღსანიშნავია მასმედიასთან ურთიერთობა, რომლის მეშვეობითაც ხშირად ვრცელდება ინფორმაცია სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგერამების შესახებ და ასევე გაწეული საქმიანობის თაობაზე.

12. როგორ შეუძლიათ აღმასრულებელ ორგანოებს გაუმჯობესონ ანგარიშვალდებულება საზოგადოების მიმართ, რა კონკრეტული მეთოდებით?

მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების რაოდენობის გაზრდით

13. თქვენი მოსაზრებით, რა უნდა გააკეთოს აღმასრულებელმა ორგანოებმა იმისთვის, რომ გაიზარდოს სამოქალაქო ჩართულობა მათ საქმიანობაში? რა უნდა გააკეთოს სხვა პირებმა ამისთვის? სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს მინისტრისა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლების შეხვედრების დაგეგმვას, ასევე დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის გაცვლასა და მიწოდებას. აგრეთვე, სამინისტრო აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების ხელშეწყობით გეგმავას სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას.

□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□:	21.02.2023 წელი